ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1806924

ნომერი: AR1296881

თარიღი : 26.03.2015

გაცემის თარიღი : 01.04.2015

გაცნობის თარიღი : 01.04.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბერბუთის ქ. N5-5ა / ქალაქი თბილისი , ბერბუთის ქუჩა N5-ა/2 / ქალაქი თბილისი , ბერბუთის ქ. N5-ა/2-მიმდ / ქალაქი თბილისი , ბერბუთის ქ. N5-ა/2 / ქალაქი თბილისი , ბერბუთის ქუჩა N1 / ქალაქი თბილისი , ბერბუთის ქ. N5-5ა-ს მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ბერბუთის ქ.N1 / ქალაქი თბილისი , ბერბუთის ქუჩა N5-5ა / ქალაქი თბილისი , ბერბუთის ქ. N5-ა/2-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ქუჩა ბეიბურთის N5-ა/2-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერაბ ბოლქვაძე პ/ნ 01009003058
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. VI კვ. კორ. 16 ბ. 126

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1296881 (26.03.2015) განაცხადის პასუხად, სადაც ითხოვთ #01.10.13.034.093 საკადასტრო ერთეულზე მრავალფუნქციური შენობა–ნაგებობის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას, გაცნობებთ, რომ დასაზუსტებელია რა ფუნქციების განვითარება იგეგმება მრავალფუნქციურ შენობაში, გამომდინარე აქედან გთხოვთ დააზუსტოთ შენობა–ნაგებობის ფუნქცია.

ასევე, ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს სხდომის ოქმის #6 (12.02.2015) მიხედვით მშენებლობის ნებართვის პირველ სტადიაზე დამატებით წარმოსადგენია ესკიზი და გენგეგმა საბჭოს წევრთა მიერ დაფიქსირებული რეკომენდაციების გათვალისწინებით. მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი კ1–ის შემცირებით (მაქსიმალური კ1 = 0,5–მდე), განაშენიანების რეგულირების ხაზის დაცვით ქუჩის გაფართოვებისთვის და საზოგადოებრივ და საცხოვრებელ ბალანს შორის 50%–50%–ის დაცვით (იხ. დანართი).

ამასთან გაცნობებთ, რომ მშენებლობის ნებართვის პირველი სტადიის გასავლელად აუცილებელ დოკუმენტებს წარმოადგენს ტოპოგრაფიული გეგმა და საინფორმაციო დაფა.

საპროექტო ტერიტორიის ტოპოგრაფიული გეგმა (მ1:500) ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ (მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების, არსებული საინჟინრო-კომუნალური ქსელების, შენობა-ნაგებობის განთავსების, მისასვლელი გზების, ღობეების, გამწვანების ჩვენებით) (თქვენს მიერ წარმოდგენილ ტოპოზე არ არის დატანილი ხელმოწერა).

ტოპოგრაფიული გეგმა ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ უნდა ატვირთოთ ამავე განაცხადის შესაბამის დახარვეზებულ ველში.

საინფორმაციო დაფა – (განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში დაგეგმილი მშენებლობისას, ნებართვის მაძიებელი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის თაობაზე განცხადების შეტანის მომენტისათვის უზრუნველყოფს შესაბამის ობიექტზე (შენობა-ნაგებობაზე), თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსებას) სადაც უნდა იყოს აღნიშნული მოსალოდნელი მშენებლობის მონაცემები, კერძოდ: შენობა-ნაგებობის მისამართი, შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო და განაცხადის განხილვის ვადები, შენობა-ნაგებობის სავარაუდო სართულიანობა ან/და გაბარიტები.(საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტია A2 ზომის ფორმატი.საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის მშენებლობის დასრულების ან/და ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ).

საინფორმაციო დაფა უნდა ატვირთოთ ამავე განაცხადის დახარვეზებულ ველში (საინფორმაციო დაფა–ბანერი*).

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება გამოსწორებული ხარვეზები, საკითხი დარჩეს განუხილველი. განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.